

კაჟა ეტჷისელო

კოლხური
ფსალმუნები

100-ტომეული




გამომცემლობა „ანკარსალი“
თბილისი 2019

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად


2019



საქართველოს მწიგნობართა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

ტომი 5

2019



მთ. რედაქტორი

ვანტანბ ღავითაია

არქიტექტორი, რუსთაველის
პრემიის ლაურეატი,
საქართველოს მწერალთა,
მეცნიერთა და საზოგადო
მოდვაწეთა საერთაშორისო
აკადემია „ქაღდეთა-საქართვე-
ლო“-ს აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2019

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2019

თბილისი, 0186, ა. პოლიბაოვსაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-619-5 (5 ტომი)



* * *

ვაჟა ებრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღექანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაჰვილი“, ფილორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთომეხუთი – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალგუნავი“-ს ხუთომეხუთის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძმნილება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალატიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანოს მფლისა და „დიოკურია 2005“-ის, მწვიდობის ოქროს პარსკვლავისა და მწვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავსჯანმართის მმართველობა აკადემიის პრეზი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსალგუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს კოლიბრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეტი. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბულია დასაბეჭდალ ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, აბრეთვე, პრეზისაღმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველისა და საჯოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილა. იგი – მმცხრე შვილია (შვიდი ძმა და ორი და).





კოეტის ასტრომეული „კონსიუმი კოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუს-თვალს აკაკის და ბალაქტიონს, ღმერთი არ მიუყენს რომ შეგა-ღარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონსაც, რომ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა კოეტის ზღაპრული კონსიუმი „უსაღმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტბვერდინანი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვა-ჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არმის ჭალაში მგბა-რი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმწივის, აიეტის ხელით დარ-გული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტო-ტეზზე, კოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლ-ხური უსაღმუნების“ იბაგმიუვლომელი ასტრომეული ლაკიდა და ბაანცოცხლა, მიძინებული, ღავიწყების ნაცარმიჭრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათთხემე-ტზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ღებნდებითა და საოცრებე-ბით დახუნდული ისტორია, რაც კოემერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითხავი.

100-ტომეული... ძველის ბაჩნის დიდან, XXI საუკუნის რიქ-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი კოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძენია დღამიწაზე...

კონსიუმი კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგე-ლუჟავი მისწოლია... მათ იცინან იმ იწყება დღამიწის ისტორია“.

ბულნაზ ხარაიჭვილი

კოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ღაურიატი,

ჯუმბერ ღეჟავას სახელობის მეცნიერებათა

საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი



**„ბულცინვალ შხხვლი ყოველ ძეხას, ყოველ
ძაბეხას.“**

ა. პუშკინი

წინასიტყვის მაბიერ

ვაჟა ეგრისელის პოეტური დებიუტი, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი – ქართული ლიტერატურის რენესანსს დაემთხვა. უკვე შემდგარი იყო „ცხენთა შეჯიბრი“, დასაკუთრებული იყო „პოეტების მეფის“ დაფნის გვირგვინი, ჩვენი მწერლობის ნოყიერ ნიადაგზე წარმატებით იღწვოდნენ სიტყვის რჩეულნი.

გადასარჩენი იყო სულიერება, რწმენა, ეროვნული იდეალები, ცხოვრების საზრისი.

გადამრჩენის მისია, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მხატვრულმა სიტყვამ იტვირთა.

ამ რჩეულთ შეუერთა ვაჟა ეგრისელმა თავისი „ლომური ბუხუნი“, აქტუალური დევიზით შეძრა ურწმუნოებით გაუხეშებული, დაგვადული სულები: „ცა ჭკნება, ვით ტოტი ძახველის, დრო არის მზის გადასარჩენად, რამეთუ ყოველთა აღიღონ მახვილი...“



„მოთმინების ცივ ურემზე შებმული“ უცნობი პროექტი „ვეფხვური ნახტომისთვის“ ემზადებოდა, მას ეიმედებოდა თავისი „ლომური ქედი“, წმინდა სულით ეზრდებოდა „ქართული ფრთები“, უვალ გზებს გასცქეროდა, შორს გასაფრენ სივრცეებს ზვერავედა, რათა თამამად დაეპყრო „ცისა და მიწის თვალსაწიერი...“

ახალი მარულის მომლოდინე, უხილავ გზებს, დედამიწის პორიზონტებს, პოლუსებს, პლანეტებს, კოსმოსს ზვერავედა და ოთხივე სკნელის მოხილვის სურვილით გვაოცებდა.

ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენებით მომადლებული, ავტორიტეტებთან შესაჭიდებლად ემზადებოდა, ბომონებს და კერპებს უპირისპირდებოდა: „სასრულს მეორე ათასწლეულის, მგოსნებს ეჭვები რომ გაუჩინოს, პარნასის მაღალ მთაზე შეკრებილთ, მოვიდა ერთი, ვიღაც უჩინო და დაამსხვრია ბომონი და მისი კერპები“ (სასრულს მეორე ათასწლეულის) (2, 383).

კერპების უარყოფა რწმენის სახელით ხდებოდა, ღმერთის ხელდასხმით, „მამა, ძე და სულიწმინდა“ იყო მისი საესავი, ეროვნულ ტრიადას – ენა, მამული, სარწმუნოება ერთგულეებდა წინაპარი კლასიკოსებივით.

ავასებდა, კუთვნილს მიუზღავდა წინამორბედებს, თანამედროვეთ...



გულგრილი იყო ვაიპოეტების ორდენ-მედლები-სადმი, ირონიით ჭკრეტდა მიწიერ თავადთა წყალობის მომლოდინე არარაობებს: „ციდან ღმერთად მოვლენილებს, ვინ რას ერჩის ამ გენიებს, მაგრამ მტირალ ცეროდენებს ქინკლებივით იგერიებ, თუმც უანგი ჭამს მათ ორდენებს, მათ პოეტურ იმპერიებს“ (2, 126).

როცა ფრთები დაკეცა მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის მეფემ, მისი ტიტანური ტვირთი „ლომურ ქედზე“ შეიღვა კოლხეთიდან მოსულმა ქრისტეს მხედარმა და სასწაულებს ახდენს მისი ზღვარდაუღებელი პოეტური ფანტაზია...

„მზის სადღეგრძელოს“ „ცეცხლიანი აზარფეშებით“ სვამდა გალაკტიონი, მის მემკვიდრეს კი უფალი ავალებს ჯვარცმის გზით იაროს ამადლებამდე, მზის სადღეგრძელო შესვას და მზის ეკლესიაში ილოცოს, „მზეზე იქორწილოს“. ასე ჩნდება „კოლხური ფსალმუნების“ ავტორის შემოქმედებაში „ჰიერატული“, საღვთო ქორწინების იდეა.

გალაკტიონის შემდეგ ქართულ სიტყვას, სულიერებას, რწმენას ახალი მეციხოვნე სჭირდებოდა. უფლის ბადის ახალ მცველს ელოდა ხალხი და უზენაესმა არჩევანი „კოლხური ფსალმუნების“ ავტორზე გააკეთა: „ჯოჯოხეთის კი არა, კარი მარადისობის დანტესავით შეადე. მიწიერს კი ღვთიური ისევ გმოსავს მშვენება. შენ ხარ ქრისტეს მებაღე,



ლოცვებით მოყვავილე ბაღის მოსაშენებლად“ (ჯოჯოხეთის კა არა) (3, 366).

ვაჟა ვერისელი „ქრისტეს ნათლული“, „ქრისტეს კვართით“ ნაშობი პოეტია.

გალაკტიონი „ახალ კართაგენს“ (918), „ახალი ლაღის კართაგენს“ აგებდა (ეფემერა) (4, 302-303). ვაჟა ვერისელს სიტყვის, რწმენის ახალი ტაძარი, ახალი სვეტიცხოველი ეიმედება საკუთარი სულისა და მარჯვენის ფასად და ის, პელაზგი ილოსივით, ახალ ილიონს, ახალ ტროას აშენებს:

„შენ მზის შვილი ხარ და მზერა ცისკენ იმიტომ გაგირბის და შენ შენს ტროას აშენებ, ვითარც პელაზგი ილოსი. შენში ბობოქრობს ზვირთები პონტოს და მარმარილოსი“ (შენ მზის შვილი ხარ).

მისი ლექსების ცამდე აწვდილი სასახლე „ნაგები არის სულ ბროლის და ოქროს მეტაფორებით...“

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორს გავლილი აქვს ჯვარცმის, მსხვერპლშეწირვის, სულისთვის ხორცის გაღების სტადიები და „მესიასავით ამადლებული“, ინიციატიაქმნილი გასცქერის საუკუნეებს...

ვერ აკრთობს იჭვნულთა მზერა, ქვევამხედვართა სისინი, იობივით მუდამ რწმენის ერთგულია, ვერას აკლებს „ღანდი მაცილის“, რადგან ეიმედება უფლის სამართლიანი მსჯავრი, სწამს, რომ ცაში მხოლოდ ღვთისმოსავნი დაიმკვიდრებენ ადგილს: „...ღღის ბოლოს კი არსთაგანმრიგე და ღანდები



სხივოსანთა, ქართული ცის სიანკარეს, მხოლოდ სულებს ღვთის-მოსაეთა, სხვას არავის მიაკარებს“.

ყველა ბრძოლაში გამარჯვებულს, ოქროს ირემზე, ოქროს თევზზე მონადირეს, მებაღურთა და მონადირეთა გალობის შემქმნელს, ნიკეს აჩრდილი ევლინება.

თვალს არ აშორებს მეცხრე ცას, მზეს, მარადიულ ნათელს, რაც ბეწვის ხიდის გადასვლის, რუბიკონის გადაღახვის ძალას აძლევს.

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი მოგვევლინა, როგორც „ქართული სიტყვის რჯულმდებელი და სტრიქონებში მზის მთესავი...“

ვაჟა ეგრისელმა შექმნა ახალი „სიყვარულის იმპერია“, „მაშრიყიდან მადრიბამდე“ გახშიანებული „ხმის ძღვევამოსილი იმპერია“, რომელშიაც მთავარია „პირველი სიყვარული“ ღმერთი: „ცხადია თუ ფარული ჩემთვის ორივე ერთია და შუა არ იყოფა პირველი სიყვარული ამ სოფლად იმ სოფლად“ (პირველი სიყვარული). „საყვარლის“ (ღმერთის) ნათელით კი მხოლოდ სულისთვის ხორცის გამღებნი გაბრწყინდებიან:

„ვარსკვლავებით ნათესი ცაა უფლის საყანე. ხმა კრთის მთვარის მნათესი. სხვა კრძალვით და თაყვანით: ვინც ხორცს დასწავს სულისთვის, ის იხილავს „საყვარელს“ (ვარსკვლავებით ნათესი ცაა – უფლის საყანე).



პლატონივით, ქართველ პოეტს აინტერესებდა „დაბლა დედამიწელი“ და „ციური ეროსი“ (ორი ეროსი).

ვაჟა ეგრისელი დანტესავით ცაში ეზიარა „ზე სიყვარულს ღვთაებრივს“ (სიყვარულის საღ კლდეზე).

სოლომონის „ქებათა ქების“, საერთოდ ბიბლიის, სახარების, იოანე პეტრიწის, აღმოსავლური სუფიზმის წარმომადგენლების, დანტეს, რუსთველის, დავით გურამიშვილის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას დარად, კოლხი ქრისტეს მხედრისთვის „სიყვარული ღმერთია“ (უფრო ნეტარებაა), „სიყვარული აბრუნებს მზის და მთვარის ბორბლებს“ (გაზაფხულის დღეებმა), „სიყვარული ღმერთია, მზე სიყვარულს ამოჰყავს“ (ვარსკვლავთ მდინარეები).

რადგან „მამული ღმერთია“, სამშობლოს სიყვარულს უმთავრესი ადგილი უკავია პოეტის შემოქმედებაში: „ის პოეტია ცით მოვლენილი... დიღის მზესავით იწვის, იზრდება და საქართველოს ტრფობით გაღეშიღს არ უწერია გამოფხიზლება“ (ის პოეტია ცით მოვლენილი).

უპირველესი დევიზი ასეთია: „ქართული მზის პალოზე სიყვარულის უწყვეტი თოკით უნდა დაება, რადგან ცეცხლი გეწვია“ (ქართული მზის პალოზე).

„სიყვარული ღმერთია“ (იოანე, I, 4,8), ღმერთი სიბრძნეა და მხოლოდ სიყვარულის, სიბრძნის მიმ-



ღვეარი ესათნოება უზენაესს: „ღმერთს უყვარხარ, რადგან ქვეყანად ცხოვრობ სიყვარულის სიბრძნით“ (წელი არის ოცდაათი).

განსაკუთრებული ძალისაა შეგონება: „... სიყვარულით, როგორც ქრისტემ, ბევრი მოიმოწაფე“ (შატილში და ღულის ჭაღას).

ახალი აღთქმის მიხედვით, ღმერთი სიყვარული, სულიერი ფარია, სულიერი საჭურველი, ფარი და მახვილი (პავლე მოციქული, ეფესელთა, 14, 15, 16, 17).

იუდა-ფარისევლებისგან გამიჯნული პოეტისთვის „ფარია სიყვარული“: „ვიყავ და ვარ მინდობილი სიყვარულის ფარს ისევე, არც მღვდელი ვარ, არც ვიკარი და სათოფედ არ ვიკარებ იუდას და ფარისეველს“ (ვიყავ და ვარ).

სიმბოლოა „სიცოცხლის ხე“, „სიბრძნის ხე“. პოეტი მისგან „ნათალი“ სიტყვის ნაფორტით აგიზგიზდებდა კოცონს, ინათებდა ცას, რამ თანამდევნი „ცალთვალა შური“ „ცხრათვალა სიყვარულით“ დაემარცხებინა: „სიბრძნის ხიდან ნათალმა ქართულ სიტყვას ნაფორტმა შენ დაგინთო კოცონი და ცა ავითავთავა. მიტომ ხარ თავმომწონე, რომ გდევს შური ცალთვალა, სიყვარული ცხრათავა“ (სიყვარული ცხრათავა).

პოეტმა სიყვარულით შემოღობა თავისი სიტყვის კარ-მიდამო, „სიყვარულის წმინდა ძაფით“ „და-



აგვირისტა“ სტრიქონები, „სიყვარულის და სიბრძნის ქვაზე“, „ციურ ქვაზე“ ალესა აქტუალური, მარადიული აზრი: „უამთა ქარქაშში ჩაგებული სიტყვა ქართული რუსთაველივით სიყვარულის ქვაზე ავლეს და ახლა დილის მზისებრ ეღვარებს. ჩემი სიმღერა მიუაღერებს ზღვათა სიღრმეებს... და ცად აწვდილ მთათა მწვერვალებს“ (უამთა ქარქაშში).

მისმა ლექსებმა თაობებს დაუტოვა სიყვარულის გაკვეთილები, სიყვარულის სასწაულები...

„სიყვარულის და სიბრძნის ნიჭია“, დანტეს რომ დავესესხოთ, პოეტის უპირველესი „წადილი“, რაც მხოლოდ ერთეულთ, წმინდა სულის მატარებელთ მიემადლებათ.

ვინც ღვთის სახლად აქცია თავისი არსება, მხოლოდ მას ხელეწიფება მილიარდების სიყვარული დაიტიოს: „ჩემი თვალები ღვთის სახლია, ხელის გული სამყაროს რუკა. მერიდიანები სულის სიმებია და მილიარდების სიყვარულს განედების სიმებით ვუკრავ“ (ჩემი თვალები ღვთის სახლია).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში 150-მდე საღვთო და საღვთისმშობლო სახელი ფიქსირდება.

მხოლოდ მეოცე საუკუნემ აქცია ჭეშმარიტი პოეტური სიტყვის ზეციური წარმომავლობა საეჭვოდ, თორემ პლატონიდან დაწყებული, კარგად იცოდნენ, რომ ნიჭი საღვთო მადლია.



სულიწმინდის ქნარი ეწოდებოდათ გამორჩეულ ჰიმნოგრაფს – სირიელ ეფრემს და მოციქულ პავლეს.

სულიწმინდის კარნახით იქმნებოდა ბასილი დიდის ჰომილიები, სულიწმინდის შთაგონებულად ითვლება ახალი აღთქმა, ქრისტიან ღვთისმეტყველთა წიგნები.

სულიწმინდის მადლით ჰვრეტდნენ საიდუმლოს ბიბლიური წინასწარმეტყველნი, რადგან ნიჭთა განაწილებელი არის სულიწმინდა.

პავლე მოციქულის მიხედვით, სიბრძნის სიტყვა, ცოდნის სიტყვა, რწმენა, განკურნებათა ნიჭი, სასწაულმოქმედება, წინასწარმეტყველება, სულების გარჩევა, სხვადასხვა ენები და ენების განმარტება სულიწმინდის მადლია (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 1, 2, 7, 8, 9, 10).

„ნიჭი არის საღმრთო სულის მადლი“ (ეფრემ მცირე).

„საღმრთო სულითაა გაპირობებული ღვთიური მობერვა, შთაგონება“, წერდა გრიგოლ ნოსელი. იგი აიგივებდა სულს, მობერვას, შთაგონებას („პასუხი ექსუთა მათ დღეთათვის“).

„ორფიკულ არგონავტიკაში“ უფალს „მომბერავი“ ეწოდება, ხოლო „მობერვა“ შთაგონების აზრით გვხვდება შუა საუკუნეებში (6, 39).



ნეტარი აგუუსტინე ევედრებოდა უზენაესს, მოთმინებით ელოდა საღვთო ქარის მოვლინებას და ასეთ წუთებში სიხარულს ვერ ფარავდა: „აი, როგორც იქნა, შევისუნთქე მონაბერი შენმიერი ქარისა“ (7, 218).

მაღლი ღმერთთან მიახლოებაა, სულიწმინდის გადმოსვლა ადამიანზე.

ღვთიური სულის მოფენაზე ღოცულობდა და-ვით გურამიშვილი.

„მახარობელი ნიავის“ სახით, ევლინებოდა აკაკი წერეთელს სულიწმინდა („სულიკო“).

ვაჟა-ფშაველას „ქებათა ქებაში“ ციური ნიავია სულიწმინდის პერსონიფიკაცია, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში – „ფერადი ქარები“ და მისი ვარიაციები, ტერენტი გრანელთან უხილავი ქარები, იდუმალ მხარეების გრიგალი. „მობერვის“ ცნებას ანალოგიურ ჭრილში აცნობიერებდა ანა კალანდაძე. კოლხური ფსალმუნების“ ავტორი არასოდეს იმეორებს წინამორბედთა სახეებს, იგი ამ შემთხვევაშიც რჩება ორიგინალური ხილვების დიდოსტატად.

ახალი აღთქმა შეგვაგონებს: „ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ტაძარია თქვენში სულიწმინდისა, რომელიც ღვთისგან გაქვთ და რომ თქვენს თავს არ ეკუთვნით“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა) (7, 19) (8,364).



პოეტს გათავისუფლებული აქვს ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანი სულიწმინდის ტაძარია: „რადგანაც ვართ მოსვლიდან სულიწმინდის ტაძრები, ამიტომაც ჩვენ გემართებს, ჟამთა ორომტრიალში უფლის მადლით გაძლება“ (სულიწმინდის ტაძრები).

ლექსში „სული მწუხრით ნატკენი“ სულიწმინდა ფიგურებს „ცისფერი ნიავის“ სახით: „...ახლა ვზივარ ზღვისპირად, ველი ცისფერ ნიავს და მის ღვთაებრივ მობერვას“ (2, 650).

ღვთის მადლით, ლოცვით და სულიწმინდის ქნარით გაბრძნობილი პოეტის „ეზო“ და „ჭიშკარი“ სიხარულით ყვავილობს: „სიხარულით მოყვავილე ჩემი ეზო და ჭიშკარი, სანამ აივსება ნისლით, მანამ სულიწმინდის ქნარი, ღვთის მადლი და ლოცვა მიხსნის“ (სიხარულით მოყვავილე).

სიხარული და კარი მაცხოვრის, ეზო კი მარიამ ღვთისმშობლის სახელია.

„სიბრძნის ციდან მონაბერი ქარიშხლებით“ სულიწმინდის მადლით სიბრძნის ზღვაში“ ცურავს პოეტი და გრაალის მცველი ფრამეტანის თანამეინახე ხდება: „სიბრძნის ციდან მონაბერი, ქარიშხალი მოგქადა ნამეტანზე ნამეტანი. და გრაალის ზღვად კითხულობ, ვით ცის თაღზე ფრამეტანი“ (სიბრძნის ციდან მონაბერი).

„სიბრძნის ციდან მონაბერი ქარიშხალი“ სულიწმინდის სიმბოლოა, გრაალი ხან სულიწმინდის,



ხან ღვთისმშობლისა და ამ უმაღლეს საწყისებთან თანაზიარობას სიბრძნის ზღვით, სიბრძნის ოკეანით აუვსია პოეტის უკიდევანო სული.

უზენაეს სიბრძნეს იუფლებს პოეტი დედა-ძის, სულიწმინდის მადლით: „სიყვარულით გადახურულ ჩვენს კარავთან, ჩამოდგება სანამ ბინდი და ჩვენს თვალებს სანამ ღამე მონისლავს, მანამ ქნარი გადაგვარჩენს სულიწმინდის, სიბრძნე სოლომონისა“ (სიყვარულით გადახურულ ჩვენს კარავთან).

ცნობილია, რომ „ქებათა-ქების“ „იგავებისა“ და „სიბრძნის“ ავტორი სოლომონი უფლისგან ნაბოძები სიბრძნით გამოირჩეოდა. ამ სიბრძნის კარი დაგმანეს სატანისტური ბოლშევიზმის ნაშეიერებმა.

ათეიზმის ზეობის შემდეგ ისევ დადგა იდუმალების კარების გახსნის, საღვთო სიბრძნესთან ზიარების უამი და უფლის მცნებების ერთგულ, გონიერი ზეცისკენ სულის თვალთ მზირალ პოეტზე გადმოვიდა მაცხოვრის მადლი, რათა სულიწმინდის ქნარი გამხდარიყო და უფლის ბაღი გაეშენებინა მიწაზე: „დრო და უამისგან გადარაზული, იდუმალების ილება კარი, სადაც დღეები მირბის და მორბის. მაცხოვრის მადლით, სულიწმინდის შენა ხარ ქნარი, ცისკენ გეწევა სიმაღლე ორბის“ (დრო და უამისგან გადარაზული).

„ნიავიც“ სულიწმინდის პერსონიფიკაციაა: „შენი სული ნიავემა ვარსკვლავიდან ვარსკვლავზე არ-



წია, ანანავა. მიტომ შენი სიტყვა ცვივა ციდან ციურ მანანად“ (შენი სული ნიაემბ). წმიდა ბასილ დიდი სულიწმინდას „მწიგნობარ ფალავანს“ უწოდებდა (9, 146).

დავით წინასწარმეტყველი ამბობდა: „ჩემი ენა კალამია სწრაფად მწერლისა“ (ფს. 44,2).

ვაჟა ეგრისელის ერთ ლექსში ცის ანგელოზების ლურჯი ფრთების ფათქუნი ისმის, რწმენის კოშკის გაღავნის კარი იღება და „მწიგნობარი ფალავანის“ – სულიწმინდის მოვლინება გვამცნობს შემოქმედებითი ცეცხლის აალებას:

„ციდან ანგელოზები ლურჯი ფრთების ფათქუნით ჟამს ცისკრისას მოგივლენ და კარს შემოუღებენ შენი რწმენის გაღავანს და „მწიგნობარ ფალავანს“ (ციდან ანგელოზები).

მიწაზე „მწიგნობარი ფალავანის“ გამოჩენა მხოლოდ და მხოლოდ უფლისგან ხელდასხმულთა ხვედრია, სიბრძნის მომნიჭებელი სულიწმინდის პრეროგატივაა: „ღამით ელვა მთიებთან რიკტაფელას თამაშობს ნათლის დასამაღავად. სულიწმინდა თავად შობს ცად მწიგნობარ ფალავანს“ (ღამით ელვა მთიებთან).

სულიწმინდისგან გამორჩეული „მზითმოსილი“ სიტყვის ოსტატის ვალია, ადამის ძის ცოდვა წარხოცოს დედამიწაზე, უზენაესის სიწმინდეს აზიაროს გზასაცდენილნი, გაამთელოს ცას და მიწას შუა ჩა-



ტეხილი ხიდი: „ვითარც ქნარმა სულიწმინდის მოსვლის დღიდან ადამის ძის, დიდი ცოდვა ზურგზე იდე და მზით – მოსილ სიტყვით გადე ცის და მიწის შუა ხიდი“ (ვითარც ქნარმა სულიწმინდის).

პოეტი ეძებდა „სულს და სულიერებას“ (მზეს, ღმერთს), სიბრძნეს თესავდა და სულის შეცნობას უსახავდა მიზნად თავის ღირიკას:

„დღისით მზით და ღამით მთვარით, გადახურულ ცისქვეშეთში, სიბრძნის თესლი მეც ვთესე. გიხმობთ სულის შესაცნობად, როგორც პავლე მოციქული ეფესელთ“ (დღისით მზისით და ღამით მთვარით).

სული ღმერთის სახელია: „ხოლო უფალი სულია და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა“ (პავლე მოციქული, II კორინთელთა, 4, 17) (8, 388).

ვაჟა ეგრისელი ბიბლიური წინასწარმეტყველებით აფრთხილებდა თემანის ნაშიერთ, აგარის მოდგმას, რომ სიბრძნეს მხოლოდ უფლის მოყვარულნი ეზიარებოდნენ: „სიბრძნის გზა კი ერთია, უფლის ნაამაგარი და მას ვეღარ იპოვის ნაშიერი თემანის და ვერც მოდგმა აგარის“ (სიბრძნის გზა კი ერთია).

„კოლხური ფსალმუნების“ ავტორი ეძებს არა „წუთისოფლის“, არამედ „უთვალთმაქცო უფლის სიბრძნეს“ (უხილაგი და ფარული) და მას ევლინება „სხივი ნათელმხილველის“, მიემადლება „სიბრძნე ეზოტერული“ (აღბათ შენ ხარ პირველი).



ეზოტერული ცოდნის პირველ აკვანს ეგვიპტეში კი არა, კოლხეთში ხედავს პოეტი: „ტყუილად მისტირიან ეგვიპტურ მისტიერიას, უღმერთობით სნეულნი. ეს შენ იცი პოეტო: კოლხეთიდან მოედო ახალშობილ სამყაროს ცოდნა ეზოტერული“ (ტყუილად მისტირიან).

პოეტი ფლობს „ცას მოსხლეტილ სიბრძნის ქვას“ (ირყევა სამყარო) მისი შემოქმედება „სავანეა ფილოსოფიური ქვით ნალესი“ (იდუმალებით სავსეა ეგვიპტე).

ამ სიბრძნის მახასიათებელია მხოლოდ ზღვა და ოკეანე, ხოლო მისი გამთავისებელი მარტო „ბუმბერაზისა“ და „გოლიათის“ სახელით შეიძლება მონათლოს: „უხილავი საუნჯე სიბრძნის ზღვიდან ამოაქვს ბუმბერაზს და გოლიათს. პოეზიის ზღვა მოაქვს და წვავს სხვა აგონია“ (უხილავი საუნჯე).

პოეტის სიდიადის საზომია „უკვდავების ხის“ (ღმერთის სახელია) „არშინი“, ხოლო წინაპარ ბუმბერაზებს ქედს უხრის, მაგრამ მათი შიში დაძლეული აქვს: „პონტოს სანაპიროზე უკვდავების ხისაგან გამოჭერი არშინი. ბუმბერაზთა მხედრობა ნახე და გაიოცე, მაგრამ მათმა ყიჟინმა წამით ვერ შეგაშინა, ახლა მსრებზე იზომებ საუკუნეს მეოცეს“ (XX საუკუნე).

ბიბლიურ ბრძენთა დარად, რწმენის მსახურია ვაჟა ეგრისელის სიტყვა, რომელიც საკმევლის ხის



სურნელით გამოირჩევა: „ვით წარსულში ისო ზირაქ, შენი სიტყვა დღესაც ხშირად რწმენას თესს... ვით თესავდნენ და უცნაურ სურნელს აფრქვევს საკმეველის ხესავით“ (ვით წარსულში).

კეთილსურნელება ქრისტეს შემეცნების მახასიათებელია:

„მადლობა ღმერთს, რომელიც ყოველთვის ძღვევას გვანიჭებს ქრისტეში და ჩვენი ხელით ავრცელებს თავისი შემეცნების კეთილსურნელებას ყოველ ადგილას, ვინაიდან ქრისტეს კეთილსურნელება ვართ ღვთისთვის დარჩენილთა შორისაც და დაღუპულთა შორისაც.

ზოგისთვის სიკვდილის სურნელი სასიკეთოდ და ზოგისთვის სიცოცხლის სურნელი სასიცოცხლოდ. ვინაა შესაფერისი ამისათვის?“ (პავლე მოციქული, II კორინთელთა, 3, 14, 15).

უშორესია ათასწლეულებიდან მომდინარე ამ გამორჩეული სიბრძნის წყაროები ვაჟა ეგრისელის პოეზიაში:

„ყანას ათასწლეულების, ვითარც ოქროსკბილა ტაროს, უფლით, მარცვალ-მარცვალ დაფშენი. რომ იდინოს უფლის წყარომ, შემოსილმა ნათლის ჯავშნით“ (ყანას ათასწლეულების).


პოეტი „რწმენის შუბით“ ებრძოდა ურწმუნობას, მისი „შუბი“ იყო „მარადისობა“, „ფარი“ მზე (მარადისობა, მზე ღმერთის სახელებია).



პავლე მოციქული განმარტავს: „ჩვენი საბრძოლო იარაღი ხორციელი კი არ არის, არამედ არის ღვთიური ძლიერება სიმაგრეთა დასანგრევად“ (II კორინთელთა, 10, 4).

პროფ. ლუბრა სოფლია

გაგრძელება შემდეგ ტომში



ქუბალე

ბაბილონის გოდოლის

ცად მდგარ რვავე სართულის
კედლებს მკერდზე ეწერათ

სიტყვა კოლხურ-

ქართული:

"ქუბალე!"

1982

* "ქუბალე" (მეგრ.) – შემოგველე. პეროდოტეს (ძვ. წ. IV ს.) ცნობით, გოდოლის სიმაღლე იყო 90 მეტრი. საძირკვლის სიგანე 180 მ. პირველი სართულის სიმაღლე იყო 33 მ, მეორის – 18, მეშვიდის – 15 და ა. შ. გოდოლის მშენებლობაზე დაიხარჯა 85 მილიონი აგური.

ვითარც ადრე,

ქვესკნელი

ბნელში, ისევ ისეა,

მაგრამ, მწამს "ოდისეა",

ჩუმ სიხარულს განიჭებს,

რადგან იცი, სიზმრების

სახილველად ეწვევი

შენ ჰადესის კარიბჭეს!

1984



რომ დაგავიწყონ წარსული
და მასთან ერთად ეგრისი,
დღეს არის ამის მცდელობა!!!
და ვით იტყოდა ტიციან,
მათ დიდებულად იციან:
დღევანდელ საქართველოში,
ძნელია ეგრისელობა!

2014



ეზოთერიკულს მისდევდა ბილიკს...

ღამე უღრანში –

უჭირდა პოვნა.

და მერე გვიან...

სამოთხის კარი,

გაუღეს...

მაგრამ არ ახსოვს ხსოვნას.

2011



იყო სარგონ მეორე¹,
მან ესროლა მზეს შუბი!
და მას მერე მოისმის
ციდან წყევლა-ჩივილი:
ხალდეცი² და თეშუბის³,
ცეცხლისმფრქეველ შივინის⁴.

1979

-
- 1 – სარგონ მეორე – ასურეთის მეფე (ძვ. წ. VIII ს.)
2 – ხალდე – უზენაესი ღმერთი ურარტუს ღვთაებათა
პანთეონში (ძვ. წ. IX ს.)
3 – თეშუბი – ამინდის, ჭექა-ქუხილის ღმერთი
4 – შივინი – მზის ღმერთი



მიიმღერის სიყვარულს

ისე,

ვით ავთანდილი,

ქვეყნად ვერ დაეტია.

პოეტია ნამდვილი,

მაგრამ მაინც პოეტზე

ერთი ადლით მეტია.

2014



ბენეფიციუმი

ქართული ცისქვეშ ღამენათევი
პოეზიას შენთვის –
ელვით გასანთლული ყულფი.

და მაინც...

"კოლხური ფსალმუნები"
და იქმენ ნათელი!"

ბენეფიციუმი* უფლის.

2001

* ბენეფიციუმი (ლათ.) – წყალობა



არამსუტე – ამირანი – პრომეთე

ლეგენდებიდან მოსულნი –

მითებს და ლეგენდებს

ერთვიან,

ვინც უცხადებდა ომს ღმერთებს.

სამია,

მაგრამ ერთია:

არამსუტე –

ამირანი –

პრომეთე.

1969



საღღაც მარადისობის
გზაზე,
კვლავ მიგაცილებს
მზითმოსილი ეოსი¹.
ვერრას გიზამს მაცილი² –
ღეთის საჭურვლით
შემოსილს!

2001

1 – ეოსი (ბერძ.) – განთიადის ღმერთი

2 – მაცილი (ქართ.) – ავი სული, დემონი



მარად მედინი მზის და
სიცოცხლის
ხელებით აკვანდარწულები
რომ ღვანან ფეხზე,
ქართველის მთებია.
ბრძოლით ჩავლილი ასწლეულები –
ძველ კოლხეთისკენ –
ისევ ისე იხედებიან...

1969



იასპით და აქატით

განვლე ასწლეულები
და იქიდან –
აქამდე,
მოსვედი უფლის ხმობაზე –
და შენ ააგე სასახლე:
იასპითა და
აქატით,
ანთრაკითა და ტოპაზით.

2004



ყველა გზა ალბათ იქ უხვევს
და ჰყვავის მზე და
იელი.

მგოსანო, შენი სახელი,
სამყაროს გადაიელვებს,
მეხივით გადაიქუხებს.

2014



მიმწუხრისას წუხელ მოვარემ,
დარახტული ვარსკვლავების
გადუქროლა ცას ამალით.
და არ დაუტოვა ღამეს
გულში
ბნელის ნატამალი.

1967



ისე, ვით სიცოცხლე,
სიკვდილიც შენ გშია
და გსურს წარსულის
ღანდები აყარო!
რადგანაც სამყარო შენშია,
შენა ხარ სამყარო.

2002



ვითარც ათასწლეულების
წინათ,
ახლაც წარმართების –
მონაბერი ქარიშხალი,
ისევ ისე ქრის ტიალი,
მაგრამ ქრისტეს გაჩენამდე,
მე ვიყავი ქრისტიანი.

1973



ამირსპასალარი

ადამის ძის ნაშიერი,

ამ მიღეთში

არსად არი,

კაცი უფლის მოვლენილი:

სიბრძნის ქვაზე აზრის ღესვის!

შენ ხარ ამირსპასალარი,

სპა – მრავალი ქართულ ღექსის.

2009



მიქამგარიო

სადღაც,

მიუვალ პიტალოზე,

ეს ჩემი მცირე ნანადირევი,

ვითარცა აქ,

ისე

იქაც გარიო,

სად ვარსკვლავების ქინკლა ირევა,

მიქამგარიო*!

2004

* მიქამგარიო – ღმერთი.



ქ ა მ ა ნ დ ა რ ი

ღამეებმა შენ დაგსაჯეს,
თუმც სიყვარულს
ვეღარ გტაცებს,
ვერც ღარი და ვერც ავღარი
და სიტყვაში –
სიტყვას აჯენ,
ვით ოსტატი ქ ა მ ა ნ დ ა რ ი*.

2003

*ქამანდარი – კარგი მსროლელი



ადამის ძის ისტორია,
თუმცა ბრძოლითა და
დავით,
მაინც მართლის ბილიკს მისდევს,
რადგან იცის,
ვით აბრამი,
ქალღვეველი იყო ქრისტე.

1979



გაჩენის დღიდან სივრცეებს –
აწუხებთ ვარსკვლავთა იარა.
და მიტომ ცა მიწას
არ ყვარობს.
უკოლხეთოდ, საქართველო კი არა,
უწარსულოა –
სამყაროდ.

1969



ღრუბლების ზვირთები დელავენ
მთვარეში
და მების ძახილზე ფრთხებიან...
ფიქრის ზღვა არ ყოფნით სათარეშოდ
შენს ლექსთა სტრიქონებს,
ალბატროსების ფრთებიანს.

2001



ჩე გოლა

ჩე გოლა¹ –

 მთა გახლავთ მონსალვატის²,
 სადაც "კოლხური ფსალმუნები",
ვით ტიტურელის გრაალის ტაძარი
 (რომელსაც ქოროები ამშვენებენ),
სულ ბივრიტითა და

 ონიქსის, –

ნათალი ქვებითაა ნაშენები.

1999

1 – ჩე გოლა – (მეგრ.) – თეთრი მთა (სამეგრელოში)

2 – მონსალვატი – მთა იერუსალიმში



მწუხრისას ცის ბილიკებით,
ოცნება შორს გამიტყუებს –
(დამაძალებს სხვათა მტრობას!)

ვით აღრე,

ესლაც თავს ვიტყუებ,
ვინა თქვა ჩემი პოეტობა?!

2004




სიცივის კიბეებით ჩამოდის ზამთარი,
და თოვლი მოუშვია
თმა-წვერივით,
თვალეები სინათლით ევსება.
მდინარეები –
პოემებია,
ნაკადულები – ლექსები,
მთების ცრემლებით დაწერილი.

1962



ვითარც კოლხურ მზის ნაშიერს,
ათასწლეულია –
ბარე ოცი,
სფეროები რომ თავზე მეველებიან.
ჩემი საფლავია –
მთვარის ბორცვი,
ვარსკვლავები –
ანგელოზთა ცრემლებია.

2005



ფაზისის არა,
სადღაც ნილოსის
მიღმა,
ასი ათასწლეულის,
ჩემი სამშობლოს შორეული ბედით
სნეული –
ფიქრი დაეძებს იქ მოსახლე
კოლხთა საცხოვრისს
და გზას უნათებს მადლი
მაცხოვრის.

1977



ჩამავალი მზის ხეივანი სხივები,
მიწას კი არა,
ზეცას ათბობენ,
თუმცა ღრუბლები ჩანან ჭყინტები.
სადღაც შორეთში –
ერთი ვარსკვლავი
მთვარის სარკმელთან კვლავ იჭყინტება.

1964



აბაზებმა და მაჰმადხანებმა,
ზღვისკარად მღვარი ჩემი
მამული,
ბევრჯერ დამიწვეს და ამიოსრეს...
მიწიდან აღგვას დღესაც
ლამობენ.

მე,

საქართველოს –
უბველეს კოლხეთს,
ასი ათასი ფსალმუნი ვუგალობე...

2009



ეს სამყარო მთელი –
ხელისგულზე მიზის.
ვდგავარ უფლის ჩრდილში
და შევყურებ შიშით,
"იქით" გადაფერდილ
პირამიდას პიზის.

1984



მეხი – მეხს მისდევს,
ქუხილს – ქუხილი...
და ცის ველ-მინდვრებს
ოქროდ გადაშლილს,
კვლავ ანიავეს და აპარტახებს.
ზღვა კი ისევ წევს
ღელვის აკვანში,
წვევტს ქარიშხალი ზვირთთა არტახებს.

1962



მიწისგან არა,
ცისგან შთაბერილ
სულს,
რად ამძიმებს ხორცის
სიმძიმე,
სააქაოში სულდგმულთაგან იცის არავინ!
ბნელში რატომ დგას მთვარის
კარავი,
და ან ვარსკვლავი ჩუმად ვარსკვლავს
რად შესციმციმებს?!

1969



სიცოცხლე არა,

სიკვდილია თვითონ უკვდავი,
მიტომ არ ესმით მოკვდავთ
მუდარა.

ფეხდაფეხ დაგვდევს სულთამხუთავი,

მიწა –

კუბოა,

ცა კი – სუდარა.

1971



ბორხესი და მარკესი

დამის ლაბირინთებში

თვალს გჭრის ბრწყინვა

"სარკესი"

და ჭერეტ სულ სხვა სამყაროს –

ათასფერად დაკემსილს.

სადაც სული ტრიალებს –

ბორხესის¹ და მარკესის².

1976

1 – სორხე ლუის ბორხესი – არგენტინელი მწერალი და პოეტი (1899 – 1986)

2 – გაბრიელ გარსია მარკესი – არგენტინელი მწერალი



ყოფნაც და არყოფნაც,

ორივე ერთად შეფსკვენი

და რაც იყო, სულ ითქვა.

უხილაგი არ დარჩა

ზესკნელი და ქვესკნელი,

შენს ყოვლისმჭკრებტ გულისყურს,

ყოვლისმხილველ –

სულის თვალს.

2004



მწუხრის კართან ხეები,
ჩუმაღვე გაიღანდენ,
თან წაიღეს ორო*.
ღამე უსმენს დიღამღე,
ვასაკების "კვა-კვას" ღა
ბაყაყების ქოროს.

1960

*ორო (მეგრ.) – ჩრდილო



ყურმა ვარ ყოფნის ერთგული,
ამირანს ჯაჭვს რომ
ულოკავს,
ხვალის იმედს რომ არიგებს.
და ვვედრი არსთა
გამრიგეს:
სიკვდილზე ადრე ნუ მომკლავს.

2008



ოსირისი და იზიდა

დღე და ღამე ნიადაგ

გვტყორცნის მზერას –
ისრიანს,

და ჩვენ ფიქრს რომ იზიდავს –
მთვარე –

ოსირისია¹,
მზე – მშობელი იზიდა².

1966

1 – ოსირისი(ბერძ. ეგვიპტ.) – მცენარეულისა და
ნილოსის ღმერთი

2 – იზიდა(ბერძ. ეგვიპტ.) – ნაყოფიერებისა და
დედობის ქალღმერთი



ქვეყნის ორომტრიალში –
თავი არ დაიბერეს
ბერძნებმა და...
უძღვნიდნენ,
ვითარც ღმერთებს, სიმღერებს...
ქვეყნად პირველ მოსახლე –
ქალღვევლებს, –
იბერებს.

1984



შოთრ წარსულში პელაზგი
ბნელში სანთელს უნთებდა:
ნერეიდას¹,
თემიდას²,
ჰერას³,
ვესტას⁴,
ქარიტებს⁵.
დღეს კი პრეისტორია,
ნეტავ,
პირს რად არიდებს?!

1977

1,2,3,4,5 – (პელაზგ.) – ღმერთები



ქართული სული

სულს საფრენად სამყაროს სივრცე
 ეპატარავა
 და უსაზღვრო საზღვარი ცოტა
 იქით გასწია,
 სადაც მიჭედილია ცა –
 კოლხური ანბანით –
 და მარადის უჟამო დღე მეუფობს
 მზიანი...
 ჩაუქროლა პლანეტებს,
 განედ-მერიდიანებს,
 ზღვებს,
 ბერძუნის კუნძულებს,
 სკნელებს, ანდებს,
 უდაბნოს...
 და სავანედ ირჩია ჩე-გოლა¹ და
 შამბალა².

1973

1 – ჩე გოლა (მეგრ.) – თეთრი მთა

2 – შამბალა – წმინდა სულების სავანე

მზის შვილი ხარ და სამყაროს
გარს,

ნიადაგ მზისებრ უვლი
და გაწვავლებს სიმარტოვე,
რადგან შენ ხარ,

ბრძენი ნოე,

კაცი

მართალი და სრული".

2015



ხილვა: ქსენოფონტე ფაზისთან

აფრაგაშლილს ვხედავ გემებს,

ზღვაში ჩაყრილთ,

ვით ნაფოტებს.

იქვე მდგარი ქსენოფონტე,

ბრძოლით მხურვალ შუბლს

იგრილებს.

და წალეკვით ემუქრება –

მოსინიკებსა¹ და

დრილებს².

1971

¹ – ქსენოფონტე – ბერძენი მწერალი და სარდალი

² – მოსინიკები, დრილები – ქართველური ტომები



ზღვის მეუფობამ და
მზის შვილობამ,
მიწიერ მითებს გადაამეტა
და არ წამოგცდეს მღურვა გამჩენის.
რადგანაც უცხო –
შენ ხარ პლანეტა,
დიდი ხნის მერე აღმოსაჩენი.

2009



სკვითები ლაზიკაში

როს პარტიელთ წარსტაცეს
გვარი სასანიდებმა,
მაშინათვე ლაზიკის

სახელსა და დიდებას:

ფაზისსა¹ და პიტუმს²

მზე ჩაუქრეს სკვითებმა³.

1972

1 - ფაზისი - ფოთი

2 - პიტუმი - ბიჭვინთა

4 - სკვითების შემოსევა - 225 - 260



ჩილდირთან და მაკრიალთან

ათასი წლის სიშორიდან –
ჩილდირთან და
მაკრიალთან –
გესმის ჩუმი საუბარი:
მეგრელების და
ლაზების,
"თმასუჭუჭა" ლამაზების –
ს ა ნ ი ს,
ზ ა ნ ი ს და
სუბარის.

1967



ყოფნის ტყეში ვჭვრეტ:

სიკვდილი –

მეტყვევ,

ცხოვრების ხეს ჭრის და...

ცვივა ნაფოტი.

ჩვენ კი კვლავ არხეინად,

ათას დარდით გაფოთლილს –

მივუყვებით –

აქ არყოფნის ხეივანს.

2001



ღისტიჰი

I

კაულბახი¹: "მარადიული ურია"

არავინ იცის, სად გარბის,
გზები ვინ აურია?!
კაულბახის მზით ნაწერ –
"მარადიულ ურიას".

II

მაზაჩო²: "სამოთხიდან განდევნა"

განვლო წელმა რამდენმა,
მაინც ბრწყინავს მაზაჩოს
"სამოთხიდან განდევნა".

1972

1 – ვილჰელმ კაულბახი – (1805 – 1874) დიდი გერმანელი მხატვარი

2 – მაზაჩო (ტომაზო დი ჯოვანი დი სიმონე კასაი (გვიდო) – 1401 – 1428 – დიდი იტალიელი (ფლორენცია) ფერმწერი

უბადრუკია,

რა ქნას ცხოვრებამ,

რომ მოეკიდოს,

არა ჩანს ხავსი.

ჩაუინებია თვალში მზეს შტერად,

დაეკარგება სიცოცხლეს ფასი,

სიკვდილი თუ არ

წამოეშველა.

2008



ღხარმა – რადუა

ფაზისისპირ დარდმოსხმული
კვლავ ჩასცქერი
კარმის სარკეს,
დიდო ეგრისელო ვაჟა!
მაგრამ ჯერაც ველარ არკვევ,
რას გიპირებს –
ღხარმა-რადუა*.

2014

*ღხარმა-რადუა (ტიბეტ) მიცვალებულთა მოსამართლე



მნათთა კვეს-აბედს გაჰკრავს
უფალი,
ნათლით აავსებს ღამის დარბაზებს.
ცაზე ჰკიდია მთვარე –
ეშვივით.
სანაპიროზე კვლავ დაბარბაცებს –
ზღვა ქარით მთურალი
და გალემშილი.

1971



სამყარო კოლხ-იბერთა,
უხმობდა იღბლიანს,
რადგანაც ცის ხილვა
იმათ ეკუთვნოდა!
სად იყო "მკვდრის წიგნი",
სად იყო "ბიბლია",
როცა "ეფუთი*" – ეფუთობდა.

1966

*"ეფუთი" – ბიბლიის წინარე, პირველი საღვთო
და სიბრძნის წიგნი



არარაობიდან გადმოსული,
ათასი შურ-ღვარძლით
დახუნძლული,
როს გაიფანტებიან ეგ ნისლეები,
ო,
მაშინ იტყვიან:
სხვა კუნძული,
სხვა ქვეყანა იყო ეგრისელი.

2014



ქეიფი?!

იცოცხლე,

ძვირფასია,

მაგრამ კარგი მოსაველის მიღებას

ოქროს მარცვლის თესვა და

უნდა ხვნა.

თვალეები ცრემლებით რომ გვესებიან...

გაჩერდი!

გაჩერდი, თუ და ხარ!

ჩემი ლექსები,

ლექსებია?!

1999



ისე,

ვითა კოლხ ორფეოსს,

აღარა გაქვს ხმა-ზიარი!

უმაღლოდ ბრძენ-კაც ქირონს,

რომ სიყვარულს

გაზიარა,

უსაზღვროს და

უნაპიროს.

1964



ამაღლება

არც მეორე,

არც მეექვსე,

მეცხრე ცაზე,

ვინც მიიღტვის,

ვინაც უფლის ძახილს მისდევს,

მე ვარ იგი!

რადგან ქრისტე,

ცად ამაღლდა ღოცვითა და

რწმენის კიბით.

1979

*ჰადესის მიხედვით: პირველ ცაზე სუფევს ადამი, მეორეზე – იესო და დაპია – (იოანე ნათლისმცემელი), მესამეზე – იოსები, მეოთხეზე – ედრისი (ენტქი), მესუთეზე – ჰარსუნი, მეექვსეზე – მუს (მოსე)



გზები –

ათასწლეულების,
ომითაა დანისლული...

ცა იწვის მზის აღმურებით...

და... "კოლხური ფსალმუნები"
არის აპოკალიფსური.

1993



თალია და ურანია

მითიდან და ლეგენდიდან –
აღარ მოჩუხჩუხებს წყარო,
მთებმაც თითი გაილოკეს.

მორჩა!

აწი აღარ გწყალობს,
თალია¹ და ურანია²,
ევტერპე³ და
ქალიოპე⁴.

2000

1,2,3,4 – მუხები



პითაგორას

წყალი უსვამს ქაღდეური

ვერვინ დათვლის ასწლეულებს,

არვინ იცის,

თუ რამდენი ასაკი ძევს,

ყოველივეს შავი ფერი ადევს მურის.

ისე,

როგორც,

ხეკორძულა – არსაკიძეს,

პითაგორას წყალი უსვამს

ქაღდეური.

1979



მინდვრის ღამაში ყვავილივით,
ჩამავალი მზის სხივები
შეიკონე,
თუმცა დღეები ჰგვანან
მიზანთროპებს*.
შენი ფსალმუნები –
მწვერვალია ჰელიკონის,
სადაც ქალღმერთი მუზები
ბინადრობენ.

1996

*მიზანთროპი (ბერძ.) – კაცთმოძულე



ლომების ბრდღვინვა

არწივთა ყეფა

ღღისით –

მზეს ცხელ შუბლს,

ღამით –

მთვარეს უგრილებ კეფას,

რადგანაც ცაში შენა გაქვს ბინა.

სვამ და სვამ ღოქით –

ლომების ბრდღვინვას

და აყოლებ –

არწივთა ყეფას.

2002



ვაზისი

ზღვისკარად,

ჰელიოსის ნაშიერთ,

ხელთ ეპყრათ მზე –

უძვირფასესი

და ედგათ დრო სამაისო.

კოლხისთვის ყოფილა

ვაზისი,

დოდონას და დელფოს სამისნო.

1967



ზევის მიერ –

თეთრ ხბოდ ქცეულს,
ემტერება ჰერა,
ოს.

ჩვენც იჭვები ღამაზ დღეებს
და სიცოცხლეს გვაზარებენ,
მაგრამ მაინც უნდა ვსდიოთ,
ჩვენ, იესო ნაზარეველს.

1969



ადამ კადმოსი

მთიები –

ლოცვაა უსამანო...

და ცის საყდარში დგას,

ვით მორჩილი.

ღვთისმადლმოსილი –

მთვარე,

ადამ კადმოსივით*.

1987

*ადამ კადმოსი – ცის კაცი



ათასწლეულთა იქიდან –

მოდინ...

და გზას ძლივს აგნებენ –

ციურნი და საამურები...

თან ახლავს ვარსკვლავთა ჰანგები –

უტუს ჯარს "კოლხური ფსალმუნების".

2007



ვაზისთან,

ხობოსთან,

ენგურთან

რომ დაჰქრის, მითების ქარია –

აღსავსე მზითა და

იმედით.

კოლხეთი –

სამყაროს ქნარია,

ცისარტყელას ფერადი

სიმებით.

1970



ცა კეკლუცობს ფერადი
მნათებით დაკემსილი.
და აწყდება ზღვას დელვა
უცაბელი,

მძაფრი, ვით
ქარიშხალი ცხრათავა –
ზვირთთა ფაფარაშლილი...
მთვარე მოჩანს ღრუბლებში
გაწყვეტაზე მისული
მარიამის ძაფივით.

1974



კოლხეთი – XIV ს. ძვ. წ-ად.

ამურის ისრით და დალატით,
კოლხეთს ცა ძირიანად, ფუძიანად.
ვახშე, თავზე ვით დაფეხვია!!!
ზღვისკარად რომ გდია,
კუნძი არა,
მედვას სამისნოს სამფეხია.

1964



პინდარე და ჰესიოდე

სხვა ბევრთაგან ელინელთა,
ისტორიის ნათელ ხსოვნას,
შერჩა ბრძენი ექვსიოდე:
ჰომეროსი¹,
ევრიპიდე²,
პლატონი³ და
ბაკქილიდე⁴,
პინდარე⁵ და ჰესიოდე⁶.

1969

- 1 – ჰომეროსი – VIII ს. ძვ. წ.
2 – ევრიპიდე – V ს. ძვ. წ.
3 – პლატონი – V ს. ძვ. წ.
4 – ბაკქილიდე – V ს. ძვ. წ.
5 – პინდარე – V – IV სს. ძვ. წ.
6 – ჰესიოდე – VIII – VII სს. ძვ. წ.



ამქვეყნად ყოფნა არა ღირს,
ძველი "ბათინკის" ლანჩად.
უჭერ დღეების აღვირს
დრო-ჟამს,
რაც შენთან დარჩა.
რადგან ყოფნაა ქაფი,
ეძებ მესამე ნ ა პ ი რ ს,
რომელიც არსად არ ჩანს!

2012



განთიადისას ქარიშხლის ხმაში
მოისმის შენი მოთქმა და
კვნესა,
ზღვაო,
შენ მიწის ცოლო და დაო!
აღბათ გუელს გიდრღნის
ეჭვები ზევსის¹,
და ვითა ჰერა²,
ნიადაგ დაობ...

1964

1 – ზევსი (ბერძ.) – უზენაესი ღმერთი

2 – ჰერა (ბერძ.) – მისი ცოლი, და



ვითარც ძე –

პოსეიდონის,

თაყვანს სცემ ისე, ვით

ვენერა მილოსელს –

შავსა და წითელ ზღვას,

მკვდარსა და მლაშე ზღვას,

კამკამა ზღვას –

მარმარილოსი.

1970



ფაზისის და პონტოს პირას,
თლილი ლერწმის საღამურებს,
მერე წელი ერთი არა,
ათჯერ ათას ორასი,
წერდი "ოქროს ასოებით"
შენ,
შენს "კოლხურ ფსალმუნებს
ისე, ვითა ხორაქსი.

1993



დამეულ ზეცას შემოღობავენ
ღრუბლები –
ელვის ორღობეებით,
მაინც დამღამით ვარსკვლავების
ხარობს მაყრები.
და ვხმობთ "სიცოცხლედ"
მწარე დღეების
წახემსებას და დანაყრებას!

2013



მარკუს კვინტილიანუს

ათასწლეულების მერე,

ვით სამართლის მცოდნის

სულში,

ჩემში სიტყვა იალებს:

ციცერონის¹,

ჰორტენსუსის²,

მარკუს კვინტილიანეს³.

1967

1 – მარკუს ტულიუს ციცერონი (ძვ. წ. 106-43)

2 – კვინტიუს ჰორტალუს ჰორტენსიუსი (ძვ. წ. 114-50)

3 – მარკუს ფაბიუს კვინტილიანე (ძვ. წ. 35, ახ. წ. 30) აქვეა



სიკვდილი აქვია, ახლოს არის

სიცოცხლე ათასფერად მოყვავილე,
ვით ველი ვარდის და
შროშანის,
გადაშლილია ახოსავით.
და მაინც ნუ გგონია
შორს არი,
სიკვდილი აქვია,
ახლოს არის.

201



ათასწლეულების იქით

ფაზისის და პონტოს პირას,
ისტორიის მკრთალ სარკეში –
ვხედავ უფლის მოშიშარებს –
კოლხურ ცისქვეშ თვალაპყრობილთ:
ლაზებს,
ჭანებს,
ოდიშარებს.

1963



ეჰეი!

ვაჟა ეგრისელო!
ათასწლეულების მერე,
რაც შენ გულით უმღერე,
ლეგენდებში გააცოცხლებს –
მივიწყებულ ქალღვევლებს,
ე. ი. შუმერებს.

1977



ყარიბი და პილიგრიმი,
სანამ რამეს ვიპოვიდი,
დრო დამდგარა უკვე თესვის.
და მსურს ვიყო, ვით პოეტი
მე,
ჩემს თავზე უკეთესი.

1967



ბათუმეზა

უკუნეთიდან ამომავალი

მზის –

შორეული ისმის კაკუნი...

ცამ ვარსკვლავები კვლავ გადამალა...

და ღამის ტოტზე მჯდარი

